საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003992

„30" დეკემბერი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭეთუნყვამო დანესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიჟარაძის I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]" (ს/ს 209442174)

მინიშნების 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით

ვუფლები გარემოსდაცვითი გადუყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003992

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N00039992 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 6 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის, 79[9] მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 46-ე მუხლის პირველი ნაწილის და ასკ-ის 84-ე მუხლის 3[1] ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გურამ ოსეფაშვილი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ყვარლის მოადგილე - მთავარი სახელმძღვანელო ინსპექტორი ნოდარ კოსოლაპე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსოლაპე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელექტრონულ

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 30 დეკემბრის №003992 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 18 დეკემბრის №DES22400000592 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს „ცეკური"-ს (ს/კ 209442174) ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანების **მე-4 პუნქტით** დადგენილი მოთხოვნის შესრულების მიზნით, შპს „ცეკური" საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სათავსი, სახიფათო ნარჩენებს დროებითი დასაწყობებისთვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. ასევე, არ ხდება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, მთელ ტერიტორიაზე ქაოტურად არის განთავსებული სხვადასხვა სახის ნარჩენი;

1.2. საწარმოს თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი სწავლება და ტესტირება ჯამრთელობის დაცვის, პროფესიული უსაფრთხოების და ნარჩენების მართვის საკითხებზე;

1.3. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად, ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი ორი ჰერმეტული ასენიზაციის ორმო, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.4. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად ზოგიერთ ხანძარმქრობში არ არის გამოცვლილი შესაბამისი ხსნარი. ტერიტორიაზე ვერ იქნა ნანახი სახანძრო სტენდები და გზშ ანგარიშით გათვალისწინებული ქვიშიანი ყუთები შესაბამისი რაოდენობით;

2. მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-5 პუნქტის შესაბამისად კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს** „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით" წარმოდგენილი გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა, თუმცა საწარმოში განხორციელებულია ცვლილებები და შესაბამისად ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს";

3. მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტის** შესაბამისად, შპს „ცეკური"-ს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან არ აქვს შეთანხმებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;

4. მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტის** შესაბამისად, შპს „ცეკური" 3 თვეში ერთხელ არ ახორციელებს ხმაურის მონიტორინგს და შესაბამისად არ არის წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგები შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში;

5. მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, შპს „ცეკური"-ს არ აქვს შემოზღუდული ბიტუმსაცავის ტერიტორია;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

6. ასევე გამოვლინდა, რომ საწარმოში განხორციელებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ:

   6.1. საწარმოს დათვალიერებისას ადგილზე დაფიქსირდა ქვიშა-ხრეშისა და კირქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი Tassan PDK-02, რომელიც განკუთვნილია სველი წესით მსხვრევისთვის (განთავსების GPS კოორდინატი: X -469322, Y – 4632636). აღნიშნული დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის განხილული გზშ ანგარიშში;
   6.2. ადგილზე დაფიქსირდა ბეტონის ნაკეთობათა საამქრო, სადაც ბეტონმრევის (მიქსერი) საშუალებით ყალიბებში ისხმევა ბეტონის ხსნარი სხვადასხვა ნაკეთობის მისაღებად, რომლისთვისაც ეზოში მოწყობილია სამ სექციანი ორთქლის კამერა, (სიგანე 3,5 მ. სიგრძე 15 მ.) ბეტონის ნაკეთობათა გასაშრობად. ორთქლის საქვაბეს წარმადობაა 1 ტონა ორთქლი/საათში. აღნიშნული საამქროს მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის განხილული გზშ ანგარიშში;
   6.3. საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშ განთავსებულია სალექარი, რომლის მოწყობა არ არის განხილული გზშ ანგარიშში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება და საქმიანობის განხორციელება შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, **წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (იმ პერიოდისთვის მოქმედი რედაქცია).**

7. გამოვლინდა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. კერძოდ:

7.1. ბეტონის საწარმოში მიმღები ბუნკერი, შემრევი და დამზადებული ხსნარის გამცემი დანადგარები განთავსებულია შემოსაზღვრული ტერიტორიის გარეთ. აღებული GPS კოორდინატების გადამოწმებით დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა და წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას. ასევე მიწაში განთავსებულია სალექარი, რომლის მიმდებარე ტერიტორია დანაგვიანებულია 10 $მ^3$ კუბამდე ოდენობის სამშენებლო ნარჩენით, **რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;**

7.2. საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სამეურნეო საკანალიზაციო წყლები გაედინება საწარმოს გარეთ და 1$მ^3$-მდე მოცულობის კანალიზაციის ნარჩენებით ბინძურდება ტერიტორია, **რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, შპს „ცეკური"-ს მიმართ, 2025 წლის 27 მარტს, შედგა შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 092353 ოქმი;
2. ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 092441 ოქმი;
3. ნარჩენების მართვის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 092354 ოქმი;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 092351 ოქმი.

აღნიშნული ოქმები, თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, ოქმები გააერთიანა ერთ წარმოებად და 2025 წლის 28 აპრილის №4-ა/328-25 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე და ნარჩენების მართვის კოდექსის 46-ე მუხლების შესაბამისად, შპს „ცეკური"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 30 დეკემბრის №003992 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 30 დეკემბრის №003992 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ცეკური“-ს (ს/კ 209442174) კუთვნილ ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ცეკური“ ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ ანგარიშში წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად (მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტი**). მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, სახიფათო ნარჩენებს დროებითი დასაწყობებისთვის სათავსის მოწყობა და ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, ტერიტორიაზე სათანადო რაოდენობის, შესაბამისი მარკირების მქონე ჰერმეტულ სახურავიანი ურნების/კონტეინერების განთავსება;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის** ვადაში ჩაატაროს, ხოლო შემდგომ პერიოდულად უზრუნველყოს საწარმოს პერსონალის სწავლება და ტესტირება ჯამრთელობის დაცვის, პროფესიული/შრომის უსაფრთხოების და ხანძრის პრევენციის და ნარჩენების მართვის საკითხებზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის** ვადაში უზრუნველყოს, ტერიტორიაზე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად, ჰერმეტული ასენიზაციის ორი ორმოს მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს, ხანძარმქრობში ხსნარის გამოცვლა, ასევე ტერიტორიაზე, სათანადო რაოდენობის, სახანძრო სტენდების და ქვიშიანი ყუთების განთავსება, გზშ ანგარიშის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;

2025 წლის 30 დეკემბრის №003992 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში განხორციელებული ცვლილების და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ **საქმიანობის განხორციელების პროცესში** უზრუნველყოს პროექტით შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება(მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსადცვითი გადაწყვეტილების **მე-5 პუნქტი);**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება (მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსადცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი);**

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **3 (სამი) თვეში** ერთხელ განახორციელოს ხმაურის მონიტორინგი, ხოლო შედეგები წელიწადში ერთხელ (არაუგვიანეს კალენდარული წლის ბოლოს) წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტი);**

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის** ვადაში უზრუნველყოს ბიტუმსაცავის ტერიტორიის შემოზღუდვა (მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის № 2-1729 ბრძანებით გაცემული გარემოსადცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი);**

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე ქაოტურად განთავსებული სხვადასხვა (სახიფათო და არასახიფათო) ნარჩენებისგან გასუფთავება, ასევე შემოსაზღვრული ტერიტორიის გარეთ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მიწაში განთავსებული სალექარის მიმდებარე ტერიტორიის, ასევე სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურებული (10 $მ^3$ -მდე) ტერიტორიის გაწმენდა, ხოლო **ნარჩენების მართვა განახორციელოს** შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან **შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის, საქართველოს კანონის - ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად;**

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ აღკვეთოს და არ დაუშვას** საწარმოს სამეურნეო-საკანალიზაციო წყლებით ტერიტორიის გარეთ გადინება/დაბინძურება;

8. ამასთან ვინაიდან ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე განხორციელებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **(იხ. დანართი №1-ის მე-6 პუნქტი)** შპს „ცეკური“ ვალდებულია, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **2 (ორი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით;

9. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება (იხ. დანართი №1-ის მე-6 პუნქტი) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე.**